

6. ხნიკინას ნახვამი სიგრიპა

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ლენინგრადელმა გ. ტუროვამ 15 წლის წინათ გამოიკვლია სიგრიპე სტომაში ქალთა შორის საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა. იგი გადასტა 5 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე. უკანასკნელი წლების მანძილზე მთელი რიგი სპორტსმენები უახლოვდებოდნენ სარეკორდო მაჩვენებელს. ახალგაზრდობის მსოფლიო პირველობაზე ბუდაპეშტში მოსკოველმა გ. ვახილიძემ გაიმყარა კიდევ საბჭოთა კავშირის რეკორდი, მაგრამ მისი გაუმჯობესების ცდები უშედეგო იყო. გასული წლის შემოდგომაზე ძველმა რეკორდმა შესწყვიტა თავისი არსებობა. იგი „გააუქმა“ თბილისელმა სპორტსმენმა ნ. ხნიკინამ, რომელიც გადასტა 5 მეტრსა და 82 სანტიმეტრზე.

ასეთი ახალგაზრდა მძლეოსნის მიერ საბჭოთა კავშირის რეკორდის გაუმჯობესება თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს და ცხადყოფს იმ უსაზღვრო რეზერვების არსებობას, რომელიც გვევლინება ჩვენი ახალგაზრდობის სახით. საქართველოში, რომ ეს მიღწევა შემთხვევითი როლია; იგი შედეგად დიდი და მუყაითი საწვრთნელი მუშაობისა, რომელსაც ატარებს ახალგაზრდა სპორტსმენთა მისი მწვრთნელი ბ. ტახტაროვი.

ნ. ხნიკინა აკეთებს გამოტანას, რომლის სიგრძე დაახლოებით 27-28 მეტრია. გამოტანების სიჩქარის თანდათანობითი ზრდით სპორტსმენი საბრტენო თამაშს უახლოვდება.

კინოგამის პირველი სამი კადრი გვიჩვენებს არევის ფაზის თანმიმდევრობას.

1-ლი კადრი. ნათლად მოჩანს ფეხის „მეფურსები“ დაღმეპ ქუსლით. ზეტანი ოღნავ გადახრილია უკან.

მე-2 კადრი. მძლეოსნის ტანი ინერციით გადაადგილდება წინ. ტანის სიმძიმის ცენტრის მსწრეობა იმობრაროს პირიონტალური მიმართულებით, ლუნავს საარეკო ფეხს, რაც მწიშნელოვან როლს თამაშობს არევის ხარისხიანი შესრულებისათვის. ამ მდგომარეობაში ტანის სიმძიმის ცენტრი იმყოფება საყრდენი ფართის ზედა. გაქსეციით ფეხი აკეთებს უნერგულ მოძრაობას წინ—ზევით. იქცევის ყურადღებას გაქსეციით ფეხის მოღუნვა მუხლის სახარისა, რაც აადვილებს მის ჩქარ გადატანას წინ.

მე-3 კადრი. არევის უკანასკნელი ფაზა საარეკო ფეხის სწრაფი გამართვით მალა აგზავნის მძლეოსნის ტანს, ამას ეხმარება გაქსეციით ფეხის მოძრაობის შეჩერება, რომლის ინერცია მთლიანად ტანს გადაეცემა. მხრები და ხელები (უკანასკნელი არასაკმარისად) აიტანება ზევით, რითაც ტანის სიმძიმის ცენტრსაც იკავებს უფრო მაღალ მდგომარეობაში ინერციას.

მე-4 კადრი. ფრენის პირველი ფაზა. ხნიკინას აშკარად გამოხატული „მეფურსები“ არევი აქვს კარგად ნათლად მოჩანს ტომის დიდი კუთხე და მაღალი აფრენი. უნდა ითქვას, რომ მისთვის ამგვარი მოძრაობა მეტად რაციონალურია.

მე-5 კადრი. ფრენის ფაზის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს სპორტსმენი კარგი დახტომისათვის. საერთოდ ამ დროს მთავარია წონასწორობის შენარჩუნება და ფეხების რაც შეიძლება წინ გატანა. ამ მიზნით ხნიკინა ასრულებს ხელებით წრიულ ბრუნვით მოძრაობას წინიდან — ქვევით—უკან, გაქსეციით ფეხი თავისუფლად ეშვება დაბლა.

მე-6, 7, 8 კადრები. თავისუფალი და მდგრადი მდგომარეობა პერეში. ხელები განაგრძობენ წრიული ბრუნვით მოძრაობას უკან, გვერდიდან ზევით, ფეხები შემოიხრლება უკან. ფრენის ამ მაქსიმალურ ფაზაში ნათლად მოჩანს ზეტანის გაღუნვა, რაც ეხმარება ტანის წინა ნაწილის კუნთების დაქიმვას; ეს კი თავის მხრივ კარგი საწინდარი ფეხების წინ სწრაფად გატანისათვის.

მე-9, 10, 11 კადრები. მძლეოსანი ემზადება დახტომისათვის. ხელები განაგრძობს წრიულ მოძრაობას და გამოიტანება წინ. ფეხები ძლიერად მოღუნული და აგრეთვე გაიტანება წინ.

მე-12, 13, 14 კადრები. მე-12 კადრზე ნათლად მოჩანს დახტომისათვის კარგი წინასწარი მდგომარეობა. ზეტანი მაქსიმალურად დახრილია, ფეხები გატანილია წინ. ამ მდგომარეობას ზოგიერთი მოხტუნავე ასრულებს ხელების დაკავებით ზეტანის უკან, რომლებიც დახტომის შემდეგ გადატანებიან წინ, რაც აადვილებს სახტომ ორმოიდან გამოშვლას.

ნახტომი დამთავრებულია. ტანის სიმძიმის ცენტრის გავლა საყრდენის მიმართ მაღალია. ეს მოწმობს ინერციის ნარჩენის შესახებ, რომელიც ხნიკინას გამოუყენებელი დარჩა ნახტომის სიგრძის გასაღებლად.

მიუხედავად ზოგიერთი ტექნიკური დაუზუსტებლობისა, ნ. ხნიკინას ხტომის ტექნიკა კარგია. საქართველოში სიჩქარის მომატება და დახტომის ტექნიკის დამუშავება, რაც გამოიწვევს უკეთესი შედეგის ჩვენებას ახალგაზრდა ოსტატის მიერ.

კინოგამა და ტექსტი ი. ალიხანოვისა
(საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

უკანაინაღმთნ პრთაღ

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ჩატარდა შეჯიბრება ნებაყოფლობით. სპორტული საზოგადოება „ბოლშევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, ბელარუსიისა და სხვა რესპუბლიკების გუნდები.


საქართველოს სპორტსმენებმა მხატვრულ ტანვარჯიშში დაიკავეს მეორე, ხოლო სპორტულ ტანვარჯიშში და აკრობატიკაში მესამე ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივმა უკრაინელებთან ერთად გაიყო II-III ადგილი.

6 ქალაქის გავჩი

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს საქართველოს 6 ქალაქის — თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და ჭიათურის უძლიერეს კალათბურთელთა გუნდების მატჩი.

პირველ მატჩში ქუთაისისა და ჭიათურის წარმომადგენელთა შეხვედრა დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით—58:20. ჭიათურელები დამარცხდნენ აგრეთვე თბილისის ოფიცერთა სახის კოლექტივთან—13:98. ბათუმელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს სოხუმის გუნდი—50:39. ქუთაისის სპორტსმენებმა მოუგეს ფოთის გუნდს—60:18.



ჩვენ გვეყრუნ

უამჯაღო სპორტული საზოგადოებაები

მასხარაძის რაიონში არსებული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები „მოლინა“ და „ბოლშევიკი“ არაერთარ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას არ ეწყვიან. არ ტარდება სექციური და სხვა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები, ცუდადაა დაყენებული საწვრთო ანარქიების აკრეფის საქმე, ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებების წევრთა რაოდენობის ზრდას, სათანადო სიმამლეზე არ დგას სპორტსმენ-თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადება.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „მოლინის“ წარმომადგენელი რაიონში ამხ. ი. თბილისივილი ერთდროულად „სოიუზხეჩატის“ ბუხხალტრად მუშაობს, ხოლო „ბოლშევიკის“ ინსტრუქტორი ამხ. ნ. ცერცვაძე შეთავსებით განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა. ისინი დატვირთულნი არიან სხვა საქმეებით და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გასაშლელად „არა სცალიათ“, ხელფასს კი რატომღაც ღებულბენ.

დროა ბოლო მოეღოს ფიზკულტურული მუშაობისადმი ასეთ უღარდელ დამოკიდებულებას.

ქ. ჩხაიძე
მასხარაძის რაიონი.

საქმიან ინეზვარეი უსაჭიროება

სტალინი. ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობას ძალიან უყვარს კრივი. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრთა სპორტულ სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის ამ სახის დაწერვას. სექციის მწვრთნელი გ. ქელბაქიანი სწორად თვობით არ იმყოფება ქალაქში და ნორჩი მოკრივეები სავსებით უყურადღებოდ არიან მიტოვებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სექციას არა აქვს საწვრთნელი ტოპარა, საჭიარისი რაოდენობით ხელთათმანები და სხვა აუცილებელი ინვენტარი.

სტალინის ბავშვთა სპორტულ სკოლაში საექიმო კონტროლი უყურადღებოდაა მიტოვებული. სექციებში ჩაბმული მრავალი მოსწავლეცქიმს არც კი შეუპოვებია. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტულ შეჯიბრებებს ექიმო იშვიათად ესწრება.

საჭიროა სპორტსკოლაში მოეწყოს საექიმო კაბინეტი.

ნ. ზადიშვილი

„ქრასნოე ზნამიას“ მეორე რესპუბლიკური კონფერენცია

ქ. თბილისში ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ქრასნოე ზნამიას“ მეორე რესპუბლიკური კონფერენცია. მოსმენილი იქნა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. თბილისის საინგარიშო მოხსენება. საინგარიშო პერიოდში საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ ერთგვარად გააუმჯობესა ორგანიზაციული და სასწავლო-სპორტული საქმიანობა. შექმნილია 9 ახალი ძირეული კოლექტივი, საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურელთა რაოდენობა, ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული სექციები, გადაჭარბებით იქნა შესრულებული 1949 წლის მშთ ნიშნოსებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

მიუხედავად ამ წარმატებისა საზოგადოების მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით. ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივებში სათანადო სიმამლეზე არ დგას მუშაობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი კოლექტივები მხოლოდ ქალაქზე არსებობენ; ასე მაგალითად. საგალანტერო ფაბრიკა „კომკავშირელის“, ქსოვილთა გასაღების ბაზის

ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვ. ძირეული კოლექტივები.

„ქრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკური საბჭოს ძლიერ მიტოვებულია მთავრე ჩატარებული შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეებში. ძირეულ კოლექტივებში სასწავლო-სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობის უფლებდყოფის შედეგად ბევრ კოლექტივში არ ჩაქს ფიზკულტურელთა პრაქტიკული საქმიანობა.

მოხსენების გარემო კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. მეტრეველმა (№ 1 სამკურვლო ფაბრიკა), ბ. შალუტაშვილმა (მაულის ფაბრიკა), ე. ჭანტურიშვილმა (მასხარაძის ძაღსახვევი ფაბრიკა), დ. კუბლაშვილმა (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი) და სხვებმა.

კონფერენცია იორჩია „ქრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკური საბჭო 22 კაცის რაოდენობით. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი არჩეულია შ. გვილავას (თავმჯდომარე), კ. ცაგარეიშვილის, ბ. შალუტაშვილის, მ. რაზმაძის, ნ. ალექსანდროვის, შ. ზოჯავას და მ. ბახტაძის შემადგენლობაში.



ქუთაისში დამთავრდა ქალაქის პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც 32 გუნდი მონაწილეობდა.

ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „დინამოს“ კოლექტივმა. ვაჟთა გუნდები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამარჯვება და ქალაქის ჩემპიონის სახელი წილად ხვდა პედაგოგიკური ინსტიტუტის კოლექტივს.

სურათი ამ: ვაჟთა გუნდების შეხვედრა.

ფოტო ნ. მეგლაძისა.

გეგუთელთა სპარტაკიად

ქუთაისი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქუთაისის რაიონში სპორტული მოძრაობა ფართოდაა გაშლილი. დღითიდღე იზრდება ახალგაზრდა კოლმეურნეთა ინტერესი ფიზიკური კულტურისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ გეგუთის კოლმეურნეთა „წინსვლა“. აქ ხწრაფი ტემპით მატულობს ფიზკულტურელთა რიცხვი. 13 სპორტულ სექციაში გაერთიანებულია 260-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

შრომში მოწინავე კოლმეურნეები დიდი მონაღმებით ევაფებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას. ამისათვის მათ გააჩნიათ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა. ყოველდღიური საწვრთნელი ვარჯიშის შედეგად კოლმეურნეობის ფიზკულტურელები ხისტემატურად იმაღლებენ თავიანთ სპორტულ დონეს.

ამას წინათ კოლმეურნეობაში „წინსვლა“ ჩატარდა სპარტაკიად, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ცხენოსნობაში და სხვა სახეებში.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ საცხენოსნო სპორტში. მარულაში გამარჯვდა 13 წლის მხედარმა ა. კილაძემ, რომელმაც ამ სახეში რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

თეხურთის მოქმედება

„მზარი“ ანგარიშით * თბილისის „სპარტაკის“ კარში დგას ვ. ჟმეკოვი * გამოუყენებელ შესაძლებლობათა მატრი * კვლავ გამარჯვება

7 მაისს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ჩაატარეს თავიანთი პირველი მატრი „სხვის“ მისდრონე. ამ დღეს ისინი თამაშობდნენ ხარკოვში „ლოკომოტივის“ ადგილობრივ ჟუნდთან.

შეხვედრა მასპინძლების იურიშებით დაიწყო. ისინი 15 წუთის მანძილზე ძლიერად უტევენენ, მაგრამ დინამოელთა დაცვა მოწოდების სიმძლავრე აღმოჩნდა. მალე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც მატრის დასასრულამდე შეინარჩუნეს. მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 3 ბურთი (ერთი ჯოჯუამ, ორი — ლოლობერიძემ) და დამსწერბურთელად მოიგეს თამაში „მზარი“ ანგარიშით—3:0.

იმვე დღეს თბილისელი სპარტაკელები მოსკოვში შეხვდნენ თავიანთ თანაკლუბებულს. „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის საფეხი იყო ფეხბურთის მოყვარულებით, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თეატალურს თბილისელთა პირველ გამოსვლას ჩვენი საშობლოს დელაქალაქში. მატრი ჩატარდა მოსკოველთა უპირატესობით. მათ თბილისის „სპარტაკის“ კარში გაიტანეს 4 ბურთი, თავიანთ კარში კი მატრის ბოლო წუთებში გაუშვეს ერთი გოლი

თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით (ა. პაიჭაძე). თბილისელებთან სუსტად ითამაშა ცენტრალურმა დამცველმა ი. შულრამ — ბურთები გატანილი იქნა სწორედ ცენტრიდან გარღვევის შედეგად.

კარის დაცვის მაღალი კლასი გამოამყვანა თბილისელთა ახალმა მკარემ ვ. ჟმეკოვმა, რომელმაც სამი „მკვდარი“ ბურთი აიღო.

თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა მორიგი მატრი ჩაატარეს 10 მაისს ქ. კუბინოში. კარილია სპარტაკის კოლექტივთან. თამაშის პირველ ნახევარში მასპინძლებმა მოახერხეს თბილისელთა კარში ერთი ბურთის გატანა, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

მთელი თამაშის მანძილზე თბილისელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. მათ ვერ გამოიყენეს მრავალი ხელსაყრელი მომენტი მოწინააღმდეგის კარის უშუალო სიახლოვესთან და კომბინაციათა დამატარებელ ფანაში უსუსტობა გამოიჩინეს.

გუშინ თბილისის „დინამომ“ სტალინგრადში დაამარცხა „ტორპედო“ ანგარიშით 4:1. ეს თბილისელ დინამოელთა მეორე რიგითი გამარჯვებაა „სხვის“ მოედანზე.



სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

გათამაშების სხრილი „ა“ კლასი

მდგომარეობა 12 მაისისათვის ძირითადი შედეგებზე

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ“ მ.	6	3	3	0	8:5	9
„დინამო“ ლ.	7	4	1	2	11:4	9
„დინამო“ თბ.	7	4	1	2	13:9	9
„ზენიტი“	5	4	0	1	15:9	8
„კრ. სოვეტ.“	5	2	3	0	2:0	7
„დინამო“ ერ.	6	2	3	1	9:7	7
„დაუგავა“	7	3	1	3	7:5	7
„დინამო“ კ.	7	2	3	2	7:6	7
ვ ვ ს	5	3	0	2	13:7	6
„სპარტაკი“ მ.	6	2	2	2	8:5	6
„დინამო“ მნ.	6	2	1	3	8:7	5
„შახტიორი“	6	2	1	3	6:6	5
„ლოკომ“ ხ.	6	2	1	3	3:7	5
„ტორპედო“ სტ.	7	1	3	3	9:16	5
„დინამო“ მ.	6	1	2	3	4:7	4
„სპარტაკი“ თბ.	6	2	0	4	6:13	4
„ტორპედო“ მ.	6	1	1	4	4:11	3
„ნეფტიანიკი“	6	1	1	4	3:14	3

მათრებით ნიშნები: თ. — თამაშთა რაოდენობა, მ. — მოგებათა რაოდენობა, ფ. — ფრე, წ. — წაგება, ბ. — ბურთების შეფარდება, ქ. — ქულათა რაოდენობა.

შეხვედრები „ბ“ კლასი

14 მაისს იყვება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო“ (ალმა-ატა) — ვეს (სამხედრო საზღვაო ძალები), „ტორპედო“ (ვოროკუ) — „სპარტაკი“ (ვოლონჟსკი), „ბოლშევიკი“ (სტალინაბადი) — „სპარტაკი“ (აშხაბადი), „შრომითი რეზერვები“ (ფრუნზე) — „პიშჩევიკი“ (ოდესა), „კრასნოე ზნამო“ (ივანოვო) — „ლოკომოტივი“ (პეტროპოლისი), ოფიცერთა სახლი (ტაშკენტი) — „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) და „მეტრონიკი“ (ჩელაბინსკი) — „კალევი“ (ტალინი). როგორც ცნობილია, პირველობის გათამაშების დებულების მიხედვით, გუნდები, რომლებიც დაკავებენ პირველ ორ ადგილს, გადავლენ „ა“ კლასში.

სანკთნადარ სოხაები

სოხაში. (ჩვენი კორ.) ამ დღეებში საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად სოხაში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ჩოგბურთელები, მათ შორის სსრ კავშირის სამხრეთის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ნეგრებეცი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კოროვინი, სპორტის ოსტატი ა. სლომოვა და სხვ. სტუმრებმა უკვე რამდენიმე ამხარვეზი შეხვედრა ჩაატარეს სოხაში. მელ ჩოგბურთელებთან. ამავე დროს ე. ნეგრებეცი, ლ. მიშჩენკო, ნ. ვენტონიკოვა და სხვები ქალაქის ნორჩ ჩოგბურთელებთან საწვრთნელ ვარჯიშებს ატარებენ, უჩვენებენ მათ ჩოგბურთის თამაშის სხვადასხვა ილეთებსა და ხერხებს.

გამოქვეყნებული წერილების კვადრები

„გუნდი დაუპოვებელია, სტადიონი მზად არ არის“

ამ სათაურით გაზეთ „ლელოს“ №13 ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდისა და ქალაქის „დინამოს“ სტადიონის სპორტული სეზონისათვის მოუშვადებლობას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის საქმეში ჩარევის შემდეგ შეჩერულ და დაკომპლექტებულ იქნა „დინამოს“ გუნდი, ხოლო სტადიონის შენელობა გამოცხადდა ხასიაზო შენელობად.

თველისა მხვეპნი აღმზრდელთა როლი

შენიშვნები მოსკოვში სპარტაკის შესახებ

კარგ ტრადიციად იქცა თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის ყოველწლიურად ჩატარება. იმ დღეებში, როცა იგი მიმდინარეობს, ქალაქის საუკეთესო სასპორტო ნაგებობანი დაამზობილი აქვთ ნორჩ მძღოლანდებს, ფეხბურთელებს, მსროლელებს, ტანმოვარჯიშეებს. შეჯიბრებებს მუდამ მონაწილეობას უწევს გამოცდილ, გამოცდილი მსაჯთა აბარატი. სპარტაკიადის კარგი ორგანიზაცია ხელს უწყობს მაღალი შედეგების მისაღწევას, ახალი რეკორდების დამყარებას. მაგრამ ამჟამად მონაწილეთა ტექნიკური შედეგებზე გამარჯვებულთა მიერ წარუქმებ სამრეცხვებსა და წამებზე კი არ ვწერთ, არამედ ამ ადამიანებზე, ვისაც მინდობილი იქნა მოზარდი თაობის სპორტსმენთა აღზრდა, უფრო სწორად იმ ადამიანებზე, რომლებიც ცუდად ასრულებენ ამ საპატიო მოვალეობას.

ამ დღემდე 26 კომისიის სახელობის რაიონის ნორჩ კალთბურთელებს არც ერთი დამარცხება არ ჰქონიათ და, მოუგეს რა გასული წლის გამარჯვებულებს — ორჯონიძის რაიონის გუნდს — ისინი ტყვედ ლიდერობდნენ ჰაბუტა გუნდებს შორის. ასეთი წარმატებითა და აღმავლობით ბავშვებს ჯერ არასოდეს არ უთამაშიათ. და აი, ერთ-ერთმა მოხდა მოულოდნელობა — ლიდერმა წააგო კიროვის რაიონის 37-ე სკოლის შედარებით სუსტ გუნდთან.

არც მეორე და არც მესამე დღეს არ აღმოაჩნდათ (!).

არაგულწრფელად, უპატიოსნოდ იტყვოდა ქვეთარაძე ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებაში, — დანაშაულის აღიარების ნაცვლად მან ცინიკურად განაცხადა პასპორტის დაკარგვის შესახებ.

— განაცხადეთ თქვენ ამის შესახებ საპასპორტო მაგიდაში? — ჰკითხეს მას.

— არა.

— რატომ?

ქვეთარაძე ორპოფობს და არ იცის რა უნასუხოს.

ასევე ცუდად იტყვოდა კომკავშირელი ქურიძე, რომელმაც იცრუა, რომ მისი პასპორტი სამხედრო კომისარიატში იმყოფებაო. პასპორტის ნაცვლად (რომელიც მის პირად საქმეში ჩვენ, ცხადია, ვერ ვიპოვეთ) აღმოჩნდა სხვა: ქურიძე დაბადებული არა 1932 წელს, არც 1931 წელს, არამედ 1930 წელს! როგორ მოხდა ეს? რატომ ეს, და ამის მსგავსი დამახინჯებანი არ იქნა მხოლოდულო და აღმოფხვრილი სამანდატო კომისიის მიერ? ეს იმიტომ, რომ იგი გადაიქცა სკოლების მიერ გაცემული ცნობების ამკრფე კომისიად, დაკმაყოფილდა მათი განხილვით და განაცხადების დამტკიცებით იმვე ცნობების საფუძველზე. ცნობამ, რომელმაც ასე მოიბოვა მაგისტრი ძალი, დღვარა ცოცხალი ადამიანი, შეამსუბუქა ისეთ თვალმამქეთა „საქმიანობა“, როგორც 37-ე სკოლის ფიზალზრდის მასწავლებელი სიხარულიძე. სურდა რა თავის კარგად გამოჩენა, ამ საქმისანა სიტუაციაში მიატოვა. სამანდატო კომისიის უაღბო ცნობების წარდგენით მან რაიონ

ნული სასპორტო სკოლის დირექტორი. ოვანოვთან ერთად, პირველ ყოვლისა, დანაშაული ჩაიდინა, რადგანაც ქვეთარაძე და ქურიძე დაუშვა შეჯიბრებებში.

ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა სიხარულიძის მუშაობამ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს? თუცა სიხარულიძის მანდატო მუშაები ერთეულნი არიან სკოლებში, მაგრამ ისინი, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ გვხვდებიან. ცდილობენ რა როგორმე დაფარონ თავიანთი უმეცხედობა, ისინი მიმართავენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც დამლუბველ გავლენას ახდენენ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე — ჩვენ ვენ მათ სიტუაცია, უპატიოსნო საქციელს.

გუნდების განაცხადებზე ხელის მოწერით განათლების განყოფილების გამგე აშხ. მქედლიძე (სამსთანავე სამანდატო კომისიის თავმჯდომარე) საფსებით ენდა სკოლის დირექტორს, რომელმაც გასცა ცნობები თვითულ მონაწილეზე. მაგრამ რას ფიქრობდა მონაწილემ აშხ. სიჭინავა, როცა იგი ცნობებს ხელს აწერდა? მის „გულკეთილობაზე“ ხომ არ ეყრდნობოდა სიხარულიძე, როცა იგი ასაკვადაცილებულთა აშხედება შეჯიბრებისათვის?

ასაკვადაცილებულ მოთამაშეთა მონაწილეობას არ დაერიდნენ ლენინის რაიონშიც. აქ მხედველობაში გვიყავს, მაგალითად, ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ჯ. რამიშვილი. მსგავსი ზემოაღწერილი ფაქტებიცა, სამწუხაროდ, იშვიათად როდი გვხვდება სასკოლო შეჯიბრებებში პრაქტიკაში. არც ერთი შეჯიბრება


ისე არ ჩატარებულა, რომ მასში ასაკვადაცილებულთა მონაწილეობას პრაქტიკები არ გამოეწვია. იცოდნენ რა ამის შესახებ, სპარტაკიადის ორგანიზატორებმა ვერ გამოიჩინეს ქმედითი ზომები იმისათვის, რათა აღმოფხვრათ სხვადასხვა დამახინჯებათა შესაძლებლობა. ვანა ექნებოდა რაიმე წარმატება მცირერიცხოვანი სამანდატო კომისიის მუშაობას, თუ მას სამი დღის განმავლობაში მოუხდებოდა რამდენიმე ათასი სხვადასხვა ცნობისა და განაცხადის გადასინჯვა? მაგალითად, სამანდატო კომისიამ 26 კომისიის რაიონის ფრენბურთელ ქალიშვილთა შემადგენლობიდან რატომ არ გამოიყვანა 1931 წელს დაბადებული ხაჩიკიანი? ნუთუ მისი და რაიონული სპორტული სკოლის დირექტორის დაუდევრობით უნდა დაინაგვროს გუნდი?

ბავშვთა და ქაბუტკთა შეჯიბრებები მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. აქ ყველაზე მეტად ვლინდება მწვრთნელის, მსაჯის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არა მარტო ტექნიკური შედეგების მიხედვით აფასებენ ამა თუ იმ მასწავლებლის მუშაობის ხარისხს, არამედ იმითაც, თუ როგორ ნერგავს იგი თავის ალსაზრდელელებში მეგობრობის, კოლექტივიზმის გრძნობას, როგორ უწყობს ხელს სოციალიზმის ქვეყნისა ახალგაზრდობის ხასიათის გამოშეშვებას.

დაე, ფიზალზრდის ნურც ერთი მასწავლებელი ნუ დაიფიქვება, რომ იგი პასუხს აგებს არა მარტო მოსწავლეთა ფიზიკური წრთობისთვის, არამედ მათი სწორი აღზრდისათვისაც.

ზ. ნახუცრიშვილი

რაზე ოცნახობენ ბავშვები „ბრიჯანსკი სოიუნისკი“



სურათში: სპორტული მარულის დისტანციაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ჯონჯოლიანი, ქინქლაძე და ფილიპოვი.

ფოტო კ. ყუფარიძისა

რიგა-თბილისი

ამას წინათ გავრამი ერთიანი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვივნენ რიგველი ველოსიპედისტები. სტუმრებმა თბილისელ კოლეგებთან ჩაატარეს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა, რამაც გვიჩვენა ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალი ტექნიკური მომზადება და სპორტული სრულყოფა.

შეჯიბრების პროგრამაში იყო გიგანტული 200 მეტრზე, სპირინტითა და სალიდერო მარულა, წყვილთა და გუნდური მარულა.

რიგის გუნდში იყვნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი ველოსიპედისტები: სპორტის ოსტატები ა. ჯარცანსი და ო. სილონში. პირველთაშორისები ი. პლუმე, ხ. იანინში, ვ. სპრენგისი და ვ. ფილიპოვი, რომლებსაც დამსახურებული მეტოქეობა გაუწიეს სპორტის ოსტატმა ა. გუნია, ო. დალენაშვილმა, ვ. ჯონჯოლიანმა, ვ. ქინქლაძემ, ვ. ჯიმშელიაშვილმა, ვ. ვარაძემ და სხვებმა.

გიგანტული 200 მეტრზე საუკეთესო დრო აჩვენა ო. დალენაშვილმა — 13,3 წამი. ვ. ფილიპოვი მას ერთი მეათედი წამით ჩამორჩა. გუნდურ ჩა-

თვლაში თბილისელებს უკეთესი დრო აღმოაჩნდათ. საინტერესო იყო სპირინტით შეჯიბრება. აქ ო. დალენაშვილმა პირველობა რიგულ ვ. ფილიპოვს დაუთმო.

15 კილომეტრიან სალიდერო მარულაში (ლიდერი სპორტის ოსტატი გ. ლევაია) ა. გუნია მოულოდნელად გასწვრივ უფრო უკეთესი დრო აჩვენა თბილისის მეორე გუნდის წევრმა სპორტის ოსტატმა ი. სტეპანოვმა.

როგორც გუნდურ, ისე ერთა მარულაში გამარჯვება წილად ხვდათ სტუმრებს, რომელთაც კოლექტიურობის საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნეს. შეჯიბრების ამ სახეში სტუმრებმა ლატვიის რეკორდი დაამყარეს 5:20,6. ტურნირში მონაწილე თბილისის სამივე გუნდმა გადაჭარბა რესპუბლიკურ რეკორდს.

შეჯიბრება დიდი ინტერესით ჩატარდა და დამთავრდა ფრედ 7,57,5.

ამ დღეებში საქართველოს ველოსიპედისტებმა დაამყარეს საკავშირო და რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი.

ბ. ალექსიშვილი

შარანკის ბაღსთან

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.) ორ კვირის გრძელდებოდა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს“, ბავშვთა სპორტსკოლის, ტყავის ქარხნის, სახლგანსო სასწავლებლის და პედაგოგიური ინსტიტუტის ვაჟთა და ფაბრიკის სახელობის კლუბების, „დინამოს“, „მედიკის“ და ბავშვთა სპორტსკოლის ქალთა კოლექტივები.

დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდნენ „დინამოს“ ვაჟთა და ფაბრიკის სახელობის კლუბის ქალთა გუნდები.

ახალი რეკორდი

6 მაისს თბილისის ველოსადიონზე სპორტის ოსტატმა ი. სტეპანოვმა 20-კილომეტრიან სალიდერო მარულაში (ლიდერი—სპორტის ოსტატი გ. ლევაია) დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი—22:11,8.

მოკლე ცნობები

მუთისი. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავად ჩატარდა ამხანაგური ვაჟთა „ინტელტურიული მუთისის“ სახელობის სახე. გაიმარჯვეს ფიზიკური აღზრდის ინსპექციის მორბეულებმა.

გ. ზურაბაშვილი
გუგული. სოფელ გრიგოლიში ეწყობა ახალი ფიზკულტურული მოედანი, სადაც ჩატარდება მეცადინეობა სპორტის სხვადასხვა სახეში.

ბ. ბაიაძე
გეგმაჟორი. პედსასწავლებლის მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირში ქალთა შორის გამარჯვება ბ. ბაიაძემ მოიპოვა, რომელმაც 18 შესაძლებლიდან 15 ქულა მოაგროვა. მამაკაცთა შორის პირველი ადგილი 5 ქულით მ. შ.საძლებლიდან დაიკავა ი. ჯღარკიამ.

ბ. გვალია



ნახატი გ. ფირცხალავასი.

„დინამოს“ დარბაზს ამშვენებს ნივთი — გამჭვირვალე და ლალის სადარი, ხანთლით დავემბთ ვეღარ ვიპოვეთ, ასეთი ხარკე კიდევ ხად არი?!

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც „ბრიტანსკი სოიუნისკი“ გამოქვეყნდა უოლტერ პილკინგტონის წერალი „საერთაშორისო ფეხბურთი“. ავტორმა, რომელმაც ერთი სიტყვაც კი არ დაძრა საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაზე, მეტისმეტით ასოციაციის მდივნის სტენლი როუზის ღირსებებს. ესაო და როუზი „ანსაზიერებს ინგლისის ფეხბურთის ყველა კეთილშობილურ თვისებებს“ (იგი მწვენივ მინდვრებზე წარმატებებისათვის თავადანაურულ წოდებადღეც კი არის აყვანილი).

გასწია რა ინგლისის ფეხბურთის ამ „გვირის“ პროპაგანდა საბჭოთა მკითხველებს შორის, პილკინგტონმა ამასთანვე გულბრძოლაც გამოიჩინა.

„სტენლი როუზმა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მაგალითი უჩვენეს ფეხბურთის სხვა ორგანიზაციებს“. რა მაგალითი? თურმე როუზის—სპორტის დარგში ბრიტანეთის არაოფიციალური ელჩის — ზრუნვით უფლის გუნდი სათამაშოდ მიემგზავრება... სალაზარის პორტუგალიაში.

ცნობილია, რომ ასეთი „ურთიერთობის“ დამყარება ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წხოლოდ „არაოფიციალურ“ ელჩებს შორის როდია მეტად გავრცელებული ხელობა. ახლა ამ სახელმწიფოების ოფიციალური „არაოფიციალური“ ელჩებიც კი ტყავში ძვირბიან, რათა ნამუსი მოწმინდონ ესანელ ხალხის ჯგულის ფრანკოს და ფაშისტ რეჟიმის სალაზარს. მიგრად „როუზის შესახებ სტატისტიკა“ ავტორი პოლიტიკური განხილვებისაგან შორსაა. მას ინტერესებს „წმინდა სპორტი“ და ას, ცხადია, „პოლიტიკის გარეშე“.

პილკინგტონი აღფრთოვანებულია ინგლისის ფეხბურთის ჩვეულებითა და ტრადიციებით, იგი რაღაცა ჩმახავს პროგრესულ ტენდენციებს, ინგლისელთა მოთმინების შესახებ და მხოლოდ ბოლოს წამოაყრანტალებს თავისი ნაჯღბნის მთავარ აზრს: „მსოფლიოს თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც დაიწყო 1950 წელს, მნიშვნელოვანი ეტაპია მოამბლის კოსმოპოლიტური ფეხბურთისათვის“.

აი, თურმე სადა ძალის თავი დამარხული! აი თურმე რად დასჭირდა როუზს პილკინგტონი, პილკინგტონი—როუზი და ორვე ერთად კი — „ბრიტანსკი სოიუნისკი“.

აი, თურმე, პილკინგტონი რატომ იცნობს „ფეხბურთის ორბიტის გაფართოებაზე“, „შინაგან მოთხოვნებს დამკაცოფილებასა და ბრიტანეთის მწვრთნელების ფართო ექსპორტზე“, „ისეთი საფეხბურთო ლიგის შექმნაზე, რომელიც გააერთიანებს ევროპის უდიდესი ქალაქების გუნდებს“ და ისეთი მატჩების მოწყობაზე, როგორცაა ბუნუს-აირესი — პარიზი ან რაი-დე-ვენერიო — არსენალი.

უცოდველობის წამოსასხამში ნაუცბათეად გახვეულ ყველა ამ სტრატეგებსა და განცხადებებს შორის ადვილად ისმის იმ ადამიანის ხმა, რომელმაც თავაზიანად დაუთმო თავისი საწერი მაგიდა ამერიკელ მეპატრონეებს ფეხბურთის გასაშხლართად.

ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი „სრულად ევროპის“ ლიგის შექმნის იდეა, როგორც ამას პილკინგტონი გვიჩვენებს, შეთთხნილია იმავე კოსმოპოლიტური რეცეპტით, რაც ჩერჩილის „ევროპის შეერთებული შტატები“. ეს კი, როგორც „საერთაშორისო ორბიტის გაფართოება“, დღევანდელი მარშალიზებული ევროპისათვის ასევე შეიძლება ნიშნავდეს: კიდევ მეტი დაქვემდებარება ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისადმი.

სწორედ ჩერჩილის კოსმოპოლიტური ბოღდინმაგვარია ისეთი მატჩების ორგანიზაციის იდეა, როგორცაა „არსენალი“ — რიო-დე-ჟანეირო — ინგლისის კლუბი უცხოეთის სახელმწიფოს ნაკრები გუნდის წინააღმდეგ! „ბრიტანსკი სოიუნისკის“ სპორტული მიმომხილველი, ღებულობს რა გულბრძკეილო სახეს, წერს: „მრავალი ძველი ცრურწმენა გაიფანტა. ფეხბურთის დარგში წარმოი-

ნ. ბარასოვი

შეზება და მტკიცდება მოთმინებაზე დაფუძნებული უფრო ფართო შეხედულებები. ერთგული ღირსების გრძობას იგი „ცრურწმენას“ უწოდებს, ფამისტებთან მეგობრულ ურთიერთობას კი „ფართო შეხედულებებს“. „ყოფისსმეძლე“ ამერიკული დოლარისადმი ფარისევლურ და უღრტეინველ სამსახურს — „ინგლისურ მოთმინებას“. სწორედ ყოველზევე ეს, ერთად აღებული, არის კოსმოპოლიტიზმი! როგორც პოლიტიკაში, ისევე სპორტშიც, კოსმოპოლიტიზმი იწვევს ერთი და იგივე ერთგული ინტერესების დაქვემდებარებას ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა ინტერესებისადმი.

ბურჟუაზიული სპორტის მესვეურებმა ამ უბადრეუი მიზნით გადაწყვიტეს 1950 წელს ჩატარონ მსოფლიოს თასის გათამაშება ფეხბურთში. როგორც უცხოეთის პრესა იწყებს, ამ „შეჯიბრების“ წინასწარი თამაშები უკვე დაიწყო. განადგობდა რა დამკაცოფულ საკმეს, „ბრიტანსკი სოიუნისკი“ 6 ნოემბერს გამოაქვეყნა კ. კერანის წერალი „მსოფლიოს თასზე“. ამ გაზეთისათვის ჩვეული „მიუღღრობობით“ ავტორი ხატავს გათამაშების ორგანიზაციის სურათს.

სად ტარდება შეჯიბრებები? რომელი ქვეყანა მიიღებს თასის ფინალისტებს თავის სტადიონზე? ისეთი ადვილია ამოჩეული, რომ „უკეთესი“ არ შეიძლება! მერვედფინალიდან დაწყებული ყველა მატჩი ჩატარდება ბრაზილიაში — იმ ქვეყანაში, რომლის მთავრობამ სახეილო გაითქვა ყოველგვარი ამერიკულისადმი მიკეიძობებით.

ბრაზილიის ფეხბურთის განვსტერული წინაგულელები საქმოდ ცნობილია. მაგრამ განა ღირს ლაზარაკი რიო-დე-ჟანეიროს სტადიონის სკანდალურ ტრადიციებზე, სადაც მატჩების დროს თითქმის თითოეული მაყურებელიც ერთი პოლიციელი მიოდის და სადაც არც ერთი თამაში არ ჩატარდება სისსლისღერის გარეშე, სადაც ვულშმატიკივართა სიკოცხლეს აზღვევენ ბილეთებზე ფასების მომატების ვაზი და სხვა?... ფინალის „სახეილო დღეებში“ სტადიონზე ყველაზე საპატიო სტუმარი ხომ ბრაზილიის პრეზიდენტი — თვით დღორე იქნება, რომელსაც თავის დროზე პატლერმა ჯვარი უბოძა, მუსოლინი—ორდენი, ხოლო თმის შემდეგ კი მას „მშვიდობისმოყვარე“ ტრუმენი ეალურსება!

ვინ მონაწილეობს ბრაზილიის გათამაშებაში?

არგენტინა, ჩილი, ბოლივია, ურუგვაი, პერუ, ეკვადორი, ინდოეთი, ფილიპინები, სირია, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იზრაილი... ბრაზილიაში მომადიეუბული არიან ამკარა ფაშისტური რეჟიმის მატარებელი ქვეყნები—ესპანეთის, პორტუგალიის, ოუგოსლავიის გუნდები.

გათამაშებაში არ მონაწილეობს საბჭოთა კავშირი, არ მონაწილეობს

მსოფლიოს რინგებზე

ნიუ-იორკში შედგა მატჩი კრიველი მსოფლიოს ჩემპიონ ელი პეპსა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ფრანკ რაი ფამეშონს შორის (უმჩატესი წონა). პეპმა შეძლო მასზე შედარებით ახალგაზრდა ფრანგი სპორტსმენის დამარცხება ქულების მიხედვით (15 რაუნდი).

მონრეალში (კანადა) ფრანგმა რობერ ვილმენმა (ნახევრადსაშუალო წონა) დაამარცხა კუბელი მოკრივე კოდ გაველენდი ქულების მიხედვით (15 რაუნდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამართლიანი იქნება დავსვით ასეთი კითხვა: რომელი მსოფლიოს თასის გათამაშება სწარმოებს ბრაზილიაში? „ფრანს ფელტოლიც“ მკვეთრად აკრიტიკებს მსოფლიოს თასის მოწყობას ფეხბურთში, და, ბრაზილიის გათამაშებას უწოდებს რა „ფსევდო-თასს“, წერს „...ის-ის იყო თასის ორგანიზატორები შევიდნენ შეჯიბრებისათვის მოსამზადებელ ფაშისტ-რომ მათ მიერ შექმნილია სისტემა იჩინა თავი მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით. ამ სისტემაში ამკარად გამოსტვივის პოლიტიკური ამგარიშინობა“...

წერილის ავტორი არ ხსნის ფრანს ლებს, არ ლაპარაკობს იმის შესახებ თუ რა პოლიტიკური მიზნები ექვმხედვლობაში. მაგრამ თვითუფლის თვის ცხადია, რომ მსოფლიოს თასზე შეჯიბრების ახლანდელი სისტემა აკარა უპირატესობას ანიჭებს ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ქვეყნებს, რომლებსთვისაც, სპორტულ კომენტარების სიტყვით, გამოამატების 16 ფრანგულ ნაწილში უკვე გარანტირებულია 7 ადგილი. ამასთან ერთად, ევროპის ის ქვეყნები, სადაც ფეხბურთი უფრო განვითარებულია, საუკეთესო შემთხვევაში წარუზავნიან ექვს, ჩვეულებრივ კი ხუთ გუნდს.

სავსებით ნათელია, რომ ეს სისტემა ოკეანესივითა ბინუსემენების, ამერიკული დოლარისა და მისი წარმომადგენლების წინაშე ქედის მოხრის და მოქმედების შედეგია.

აი, რატომაა „ფრანს ფელტოლიც“ იძულებული მწარედ აღიაროს „...უკვე წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ ევროპის ფეხბურთი გასწორდება ჩასაფურსად“.

მეორე ფრანგული გაზეთი „ს. სუარი“ ამას შესახებ შემდეგს წერს: „ბრიტანური ფეხბურთში მსოფლიოს თასზე იქნება ნამდვილი პაროღია და მისი შედეგები ოღანვე წარმოადგინოს არ მოგვეცემს საერთაშორისო ფეხბურთის ძალისა და კლასის შესახებ“.

ფრანგული სპორტული პრესის ერთსულოვნად უარყოფითი შეფასება იძლევა საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტს ეულ რიმეს როლის შესახებ, რომელიც „ბრაზილიის ვარიანტის“ გათამაშების ორგანიზატორისა და ავტორის შესახებ.

ევროპის მოწინავე პრესა მსოფლიოს საფეხბურთო თასის ბრაზილიის ვარიანტს სამართლიანად უწოდებს პოლიტიკურ სპეკულაციის რაღვანაც ყველა ამ წამოწყების მიზნის წარმოადგენს ამკარა მისწრაზება, რათა საერთაშორისო ფეხბურთი დაქვემდებაროს ინგლის-ამერიკის ბინუსემენებს, შელობის ეროვნულ საუკეთესოებს და ამერიკის სამხრეთი ეტლს მაგრად მიჯაჯვოს ევროპის ქვეყნები.

მარშალის გეგმა, დასავლეთის კ. შარი, ჩრდილო-ატლანტიკის სამხრეთი ბლოკი მიმართულია ყველამშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ და წარმოადგენს უღრტეინველადმი ევროპის ქვეყნებზე დამორჩილებას საშუალებას ახლ მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. კოსმოპოლიტიზმის ქაღაგება, ერთგული სუფერენტიტისაგან უარის თქმულს ასხამს იმავე წისკვილი წარმოადგენს ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების იდეოლოგიურ საფარველს, და როცა „ბრიტანსკი სოიუნისკი“ იბრძვის ნამდვილი კოსმოპოლიტური ფეხბურთი შექმნისათვის, საბჭოთა მკითხველებსათვის ნათელია, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ცდა იმისა, რომ ფეხბურთის კარებში კონტრამანდა გაათრიონ იგივე ოკეანესივითა პოლიტიკური საქონელი.

აი, როგორ თასს უწევს გულმდინე პოპულარიზაციის „ბრიტანსკი სოიუნისკი“. აი, რანაირ კოსმოპოლიტურ ფეხბურთზე ოცნებობენ ბრიტანები—როუზი, პილკინგტონი, ჩერჩი და მათი მეპატრონენი.

მასუხისმგებელი რედაქტორი მ. კაკაბაძე